საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

N 29
25/06/2020

29-07-4-202006251317

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №29
2020 წლის 25 ივნისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" შესაბამისად,

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის ნუსხა დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი" მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2020 წელს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის ნუსხა

№	დასახელება	სავარაუდო ღირებულება
1	ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ჩიბათიდან კოლხეთის ეროვნული პარკის დაცულ ტერიტორიამდე (მდინარე ფიჩორამდე) მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.	600000
ჯამი		600000